სასურსათო საცალო სექტორის და პირველადი მოხმარების საქონლის მიმოხილვა

სასურსათო საცალო სექტორის და პირველადი მოხმარების საქონლის მიმოხილვა

მოკლე შინაარსი

1. შესავალი 3
2. ძირითადი მიგნებები 4
3. ღირებულებათა ჯაჭვი 6
   - იმპორტ-ექსპორტი 7
   - სოფლის მეურნეობა და წარმოება 8
   - დისტრიბუცია, რითეილერები და მომხმარებლები 10
4. მაკროეკონომიკური მიმოხილვა 12
   - საცალო ვაჭრობის ბაზარი 12
   - სამომხმარებლო დანახარჯები და წილი სამომხმარებლო კალათაში 13
   - გაცვლითი კურსი და მოზიდული ფინანსური რესურსების ხარჯი 15
   - ვაჭრობა, დასაქმებულები, წილი მშპ-ში, ინფლაცია, გაცვლითი კურსი 16
5. არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები 17
   - ელექტრონული კომერცია 18
   - გაზრდილი რეგიონული რისკები 19
6. რეკომენდაციები 21

1. შესავალი

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკებმა“, პირველადი მოხმარების საქონლის ბაზარი მიმოიხილა. ბოლო წლებში დაფიქსირებული მაღალი ინფლაციიდან გამომდინარე, მკვეთრად გაიზარდა ფასები საკვებ და სასმელ პროდუქტებზე, რაც ამცირებს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას და განკარგვად შემოსავლებს სხვა ტიპის საქონელსა თუ მომსახურებაზე.

კვლევის მიზანია წარმოგვიდგინოს პირველადი მოხმარების საქონლის ფასწარმოქმნის პოლიტიკა და გაანალიზოს საკვებ პროდუქტებზე მზარდი ფასების მიზეზები. კვლევა მოიცავს სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზს, საკვებზე და სასმელზე მზარდ ფასებზე მოქმედ მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, სამომხმარებლო კალათის დინამიკას და სამომავლო განვითარების პერსპექტივებს.

აღნიშნული კვლევა ხელს შეუწყობს საკვებითა და სასმელით ვაჭრობის საცალო სექტორის მუშაობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას, სექტორში არსებული გამოწვევების გამოვლენას და შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საზოგადოება და ბანკები მადლობას უხდის კვლევის მომზადებაში ხელშეწყობისათვის და მონაცემების მოწოდებისათვის საქართველოს სტატისტიკის სამსახურს, რითეილ ასოციაციას და სხვა საჯარო ინფორმაციის მომწოდებელ უწყებებს.

2. ძირითადი მიგნებები

პირველადი მოხმარების საქონლის ბაზარზე მაღალი კონკურენციაა. ბაზარზე წარმოდგენილია 50-ზე მეტი მსხვილი იმპორტიორ/დისტრიბუტორი და რითეილერი. ბაზრის მოცულობა 12 მლრდ ლარზე მეტია, და ყველაზე მსხვილი რითეილერის შემოსავლები, ჯამური შემოსავლების 5%-ზე ნაკლებია.

შინამეურნეობების სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში იზრდება 2017 წლიდან და 2020 წელს 47%-ს მიაღწია. მოსალოდნელია თითქმის ნახევარს მიაღწიოს 2021 წლის მონაცემებით. შინამეურნეობების ხარჯების ზრდა განპირობებულია სასურსათო საქონელზე ფასების მაღალი ზრდით. 2007 წლიდან დღემდე ფასები სასურსათო საქონელზე დაახლოებით სამჯერ არის გაზრდილი.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 20%-ზე მეტად არ უნდა გაზრდილიყო 2015 წლიდან დღემდე. თუმცა, ფასები მკვეთრად გაზრდილია როგორც სურსათზე, ასევე სხვა პირველადი მოხმარების საქონელზე.

ფასების ზრდაზე დიდი გავლენა აქვს მთავრობის მიერ დაწესებულ გადასახადებს როგორც ნავთობპროდუქტებზე, ასევე თამბაქოზე და ალკოჰოლზე. თამბაქოზე და ალკოჰოლურ სასმელებზე გაწეულ დანახარჯებზე მთლიანი დანახარჯების საშუალოდ 10% და 4% მოდის[1]. ხოლო საწვავი მნიშვნელოვანი შუალედური საქონელია მიწოდების ჯაჭვში.

საქართველოში იმპორტირებულმა პირველადი მოხმარების საქონელმა 2021 წელს 1.5 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო ყოველწლიური პირველადი მოხმარების საქონლის დეფიციტი 900 მლნ. აშშ დოლარს აღწევს და შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პირველადი მოხმარების საქონლის იმპორტზე.

სოფლის მეურნეობის გამოშვება 2010 წლიდან თითქმის გაორმაგდა და 6 მლრდ ლარს მიაღწია 2021 წელს, მაგრამ ზრდადი ფასების პირობებში. რეალური გამოშვება (დაკორექტირებული ფასების ცვლილებით) მხოლოდ 20%-ით არის გაზრდილი იმავე პერიოდში. სოფლის მეურნეობაში, ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანები სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებია, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ამ დრომდე სოფლის მეურნეობაში ეფექტურობა დაბალია, რაც ზრდის მოსახლეობის დამოკიდებულებას იმპორტირებულ საკვებზე.

საქართველოში დაახლოებით 170,000 დასაქმებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, რაც მთლიანი დაქირავებით დასაქმებულების 26%-ს შეადგენს. მათ შორის, პირველადი მოხმარების საქონლის მსხვილ ადგილობრივ მწარმოებლებში, დისტრიბუციაში და რითეილერებში 30,000-ზე მეტი ადამიანი არის დასაქმებული.

[1] დამუშავებულია მსხვილი რითეილერების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე.

პირველადი მოხმარების საქონლის მსხვილი ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავალი 1 მლრდ. ლარს აჭარბებდა 2020 წელს და მოსალოდნელია 1.2 მლრდ. ლარს გადააჭარბოს 2021 წლის მონაცემებით. მსხვილი მწარმოებლები 5,000-ზე მეტ ადამიანს ასაქმებენ.

დისტრიბუციის შემოსავალი 2020 წელს დაახლოებით 2 მლრდ. ლარს შეადგენდა და მოსალოდნელია 2.4 მლრდ. ლარს მიაღწიოს 2021 წლის მონაცემებით. დისტრიბუტორების სახელფასო ხარჯმა ამავე პერიოდში ჯამურად 120 მლნ. ლარს გადააჭარბა. დისტრიბუციაში 5,500-ზე მეტი ადამიანი არის დასაქმებული.

მსხვილი რითეილერების ჯამურმა შემოსავალმა 2020 წელს 3.2 მლრდ. ლარს მიაღწია (დღგ-ს გარეშე) და მოსალოდნელია 4 მლრდ. ლარამდე იყოს გაზრდილი 2021 წლის მონაცემებით. თუმცა, რითეილერები ძირითადად ზარალზე მუშაობდნენ 2018-2020 წლებში და ჯამურმა ზარალმა 2020 წელს 52 მლნ. ლარი შეადგინა. აღნიშნული ძირითადად სწრაფი ზრდით შეიძლება აიხსნას, ვინაიდან კომპანიების საოპერაციო მოგებამ იმავე პერიოდში 117 მლნ. ლარი შეადგინა და ჯამურად სახელფასო ხარჯმა 250 მლნ. ლარს მიაღწია. ჰიპერმარკეტებში და სუპერმარკეტებში 20,000-ზე მეტი ადამიანი არის დასაქმებული.

3. ღირებულებათა ჯაჭვი

იმპორტი და წარმოება

- იმპორტი - საქართველოს იმპორტირებულმა პირველადი მოხმარების საქონელმა 2021 წელს 5 მლრდ. ლარს მიაღწია.
- ადგილობრივი წარმოება - მსხვილი მწარმოებლების ბრუნვა 2021 წელს ერთ მილიარდ ლარზე მეტი იყო. ხოლო სოფლის მეურნეობის გამოშვება 6 მლრდ. ლარს შეადგენდა.
- ექსპორტი - პირველადი მოხმარების საქონლის ექსპორტი (სასმელებისა და თხილის ექსპორტის გარეშე) 2021 წელს ერთ მილიარდ ლარამდე იყო.

მიწოდება და განაწილება

- დისტრიბუცია - მსხვილი დისტრიბუტორები 2 მლრდ. ლარზე მეტი ღირებულების საქონელს აწვდიან რითეილერებს.
- რითეილერები - პირველადი მოხმარების საქონლის ბაზარზე მაღალი კონკურენციაა. ბაზრის მოცულობა 10 მლრდ ლარზე მეტია და ყველაზე მსხვილი მოთამაშის შემოსავლები 5%-ზე ნაკლებია.

მოხმარება

- მოსახლეობა - 3.7 მლნ. ადამიანი. ყოველწლიური დანახარჯები პირველადი მოხმარების საქონელზე, საკვებისა და სასმელის ჩათვლით 10 მლრდ. ლარს აჭარბებდა 2020 წელს და მოსალოდნელია 12 მლრდ. ლარს გადააჭარბოს 2021 წლის მონაცემებით.
- კვების ობიექტები/სხვა იურიდიული პირები - სასტუმროებისა და რესტორნების ბრუნვამ 2021 წელს 1.6 მლრდ. ლარს გადააჭარბა.

ცხრილი 1. პირველადი მოხმარების საქონლის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვი



წყარო: რეპორტალი, საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

იმპორტ-ექსპორტი

საქართველოში იმპორტირებულმა პირველადი მოხმარების საქონელმა 2021 წელს 1.5 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, ფქვილი და ბურღულეული ყველაზე მსხვილ ჯგუფს წარმოადგენს. პირადი ჰიგიენის ნივთები მეორე ყველაზე მსხვილი ჯგუფია და ჯამურ იმპორტში მათი წილი 2021 წელს 15% იყო. იმპორტის მოცულობა ერთ მოსახლეზე საშუალოდ 392 აშშ დოლარს შეადგენდა.

გრაფიკი 1. პირველადი მოხმარების საქონლის იმპორტი საქართველოში 2014-2021 (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

პირველადი მოხმარების საქონლის ექსპორტმა (სასმელებისა და თხილის ექსპორტის გარეშე) 2021 წელს 300 მლნ. აშშ დოლარს მცირედით გადააჭარბა. მსხვილ საექსპორტო ჯგუფებში პირველ ადგილზეა ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი 41%-ით. თამბაქოსა და თამბაქოს დასამზადებლად საჭირო ნედლეული მეორე ადგილს იკავებს 18%-ით. თუმცა, ამ შემთხვევაში ექსპორტი ძირითადად რეექსპორტია.

გრაფიკი 2. პირველადი მოხმარების საქონლის ექსპორტი 2014-2021 (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

საერთო ჯამში, თუ არ გავითვალისწინებთ საქართველოს მიერ სასმელებისა და თხილის ექსპორტს, ჩვენი ყოველწლიური პირველადი მოხმარების საქონლის დეფიციტი 900 მლნ. აშშ დოლარს აღწევს და შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პირველადი მოხმარების საქონლის იმპორტზე.

სოფლის მეურნეობა და წარმოება

სოფლის მეურნეობის გამოშვება 2010 წლიდან თითქმის გაორმაგდა და 6 მლრდ ლარს მიაღწია 2021 წელს, მაგრამ დიდ წილად ზრდადი ფასების პირობებში. რეალური გამოშვება (დაკორექტირებული ფასების ცვლილებით) მხოლოდ 20%-ით არის გაზრდილი იგივე პერიოდში.

დამატებით, 2010-2020 წლებში, სოფლის მოსახლეობის რაოდენობა 8%-ით შემცირდა 1.52 მლნ. ადამიანამდე და ურბანიზაციის მაჩვენებელი 41%-მდე ჩამოვიდა. გამოშვების ზრდა და სოფლად მცხოვრები ადამიანების რაოდენობის შემცირება ეფექტურობის მცირე ზრდაზე მეტყველებს. თუმცა, ამ დრომდე სოფლის მეურნეობაში ეფექტურობა დაბალია, რაც ზრდის მოსახლეობის დამოკიდებულებას იმპორტირებულ საკვებზე. სოფლის მეურნეობაში, ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანები 2020 წელს 12,286 იყო და დაქირავებულთა რაოდენობა 11,174, რაც საკმაოდ მცირე მაჩვენებელია სოფლად მცხოვრებთა ამ რაოდენობის პირობებში (<1%).

გრაფიკი 3. სოფლის მეურნეობის გამოშვება (მლრდ. ლარი, რეალური და ნომინალური) და სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში საქართველოში 2014-2020.



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

პირველადი მოხმარების საქონლის მსხვილი მწარმოებლების აქტივები 2020 წელს 900 მლნ. ლარს აჭარბებდა და დაახლოებით 1 მლრდ ლარის შემოსავალი მიიღეს. წმინდა მოგებამ 53 მლნ. ლარი შეადგინა იმავე პერიოდში. უნდა ვთქვათ, რომ მწარმოებლების ფასნამატი დაახლოებით 30%-ს შეადგენს წარმოებულ საქონელზე, რაც ხარჯების დასაფარად მიემართება.

უნდა ვთქვათ, რომ მსხვილი მწარმოებლები საერთო მოგების (Gross Profit) საშუალოდ 39%-ს მიმართავდნენ სახელფასო ხარჯზე 2020 წელს და ჯამურად სახელფასო ხარჯმა 100 მლნ. ლარს გადააჭარბა. მსხვილი მწარმოებლები 5,000-ზე მეტ ადამიანს ასაქმებდნენ და საშუალო ხელფასი 2020 წელს 1,000 ლარს აჭარბებდა. თუმცა, ხელფასები საკმაოდ განსხვავდება დამსაქმებლების მიხედვით და გარკვეულ შემთხვევებში 500-800 ლარის ფარგლებში მერყეობდა.

გრაფიკი 4. პირველადი მოხმარების საქონლის მწარმოებლების აქტივები, შემოსავალი და მოგება 2017-2020 წლებში.



წყარო: ანგარიშგების პორტალი, საზოგადოება და ბანკები

დისტრიბუცია, რითეილერები და მომხმარებლები

პირველადი მოხმარების საქონლის დისტრიბუტორების აქტივები 854 მლნ. ლარს შეადგენდა და 2020 წელს დაახლოებით 2 მლრდ ლარის შემოსავალი მიიღეს. წმინდა მოგებამ 52 მლნ. ლარი შეადგინა იმავე პერიოდში. მწარმოებლების ფასნამატი დაახლოებით 19%-ს შეადგენს წარმოებულ საქონელზე, რაც ხარჯების დასაფარად მიემართება.

დისტრიბუტორები 2020 წელს საერთო მოგების 29%-ს მიმართავდნენ სახელფასო ხარჯზე და ჯამურად სახელფასო ხარჯმა 120 მლნ. ლარს გადააჭარბა. დისტრიბუციაში 5,500-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული და საშუალო ხელფასი 1,300 ლარს შეადგენდა.

გრაფიკი 5. პირველადი მოხმარების საქონლის მწარმოებლების აქტივები, შემოსავალი და მოგება 2017-2020 წლებში.



წყარო: ანგარიშგების პორტალი, საზოგადოება და ბანკები

მსხვილი რითეილერების აქტივები 2020 წელს 1 მლრდ. ლარს აჭარბებდა და ჯამურმა შემოსავალმა 3.2 მლრდ. ლარს მიაღწია (დღგ-ს გარეშე). მსხვილი რითეილერები ძირითადად ზარალზე მუშაობდნენ 2018-2020 წლებში და ჯამურმა ზარალმა 52 მლნ. ლარი შეადგინა 2020 წელს. აღნიშნული ძირითადად სწრაფი ზრდით შეიძლება აიხსნას, ვინაიდან კომპანიების საოპერაციო მოგებამ 2020 წელს 117 მლნ. ლარი შეადგინა.

რითეილერები საერთო შემოსავლის საშუალოდ 42%-ს მიმართავდნენ სახელფასო ხარჯზე და 2020 წელს ჯამურად სახელფასო ხარჯმა 250 მლნ. ლარს მიაღწია. ჰიპერმარკეტებში და სუპერმარკეტებში 20,000-ზე მეტი ადამიანი არის დასაქმებული და საშუალო ხელფასი 2020 წელს დაახლოებით 600 ლარს შეადგენდა.

გრაფიკი 6. პირველადი მოხმარების საქონლის მწარმოებლების აქტივები, შემოსავალი და მოგება 2017-2020 წლებში.



წყარო: ანგარიშგების პორტალი, საზოგადოება და ბანკები

4. მაკროეკონომიკური მიმოხილვა

საცალო ვაჭრობის ბაზარი

იმ მაღაზიების ბრუნვა, რომლებიც პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობით არიან დაკავებული 8 მლრდ. ლარს აღწევდა 2021 წელს. ბაზრების, ბაზრობების და სხვა გარე ვაჭრობის ობიექტების გათვალისწინებით, პირველადი მოხმარების საქონლის ბაზრის შემოსავლები მოსალოდნელია 10 მლრდ. ლარს აჭარბებდეს. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მოსახლეობის დანახარჯები 3.5-ჯერ არის გაზრდილი. აღნიშნულს, მცირედით ასტიმულირებს ტურიზმის ზრდა. თუმცა ტურიზმის ჯამური წილი დანახარჯებში 10%-ზე ნაკლებად შეიძლება შეფასდეს. მოსახლეობის დანახარჯების მკვეთრი ზრდა ძირითადად მაღალი ინფლაციით არის გამოწვეული საკვებზე, სასმელზე და თამბაქოზე.

გრაფიკი 7. სურსათით ვაჭრობის ბრუნვა მაღაზიებში (მლნ. ლარი, ბაზრების, ბაზრობების და გარე ვაჭრობის ობიექტების გარეშე) 2015-20213



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობაში ორგანიზებული მოთამაშეების[2] შემოსავლების ზრდა მკვეთრად აღემატება ჯამურად მაღაზიების შემოსავლების ზრდას (ბაზრებისა და ბაზრობების გარეშე). ვფიქრობთ, მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტად მოხდება ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია, რომელიც უფრო მეტად ჩაანაცვლებს არაორგანიზებულ ბაზარს.

[2] რეპორტალზე ხელმისაწვდომი ინფორმაცია 27 რითეილერზე.

გრაფიკი 8. პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობა მაღაზიებში (ბრუნვა) და ორგანიზებული მოთამაშეების შემოსავლების %-ული ზრდა 2017-2021 წლებში



წყარო: საქსტატი, რეპორტალი, საზოგადოება და ბანკები

სამომხმარებლო დანახარჯები და წილი სამომხმარებლო კალათაში

შინამეურნეობების სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში იზრდება 2017 წლიდან და 2020 წელს 47%-ს მიაღწია. მოსალოდნელია თითქმის ნახევარს მიაღწიოს 2021 წლის მონაცემებით. შინამეურნეობების ხარჯების ზრდა განპირობებულია სასურსათო საქონელზე ფასების მაღალი ზრდით. 2007 წლიდან დღემდე ფასები სასურსათო საქონელზე დაახლოებით სამჯერ არის გაზრდილი.

გრაფიკი 9. შინამეურნეობების ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში (%) და სასურსათო საქონლის ფასების საშუალო ინდექსი (2006=100)



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

დღეისთვის, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ განსაზღვრული ხარჯების მიხედვით, მოსახლეობის დანახარჯების ნახევარზე მეტი მოდის პირველადი მოხმარების საქონელზე, რომელიც მოიცავს საკვებს და სასმელს, ტრანსპორტს და ის 38% და 13%-ს შეადგენს შესაბამისად. შედეგად, ფასის ზრდა საკვებზე და სასმელზე, ასევე საწვავზე მკვეთრად მოქმედებს მოსახლეობის სამომხმარებლო კალათაზე და მსყიდველუნარიანობაზე.

გრაფიკი 10. სამომხმარებლო კალათა და ჯგუფის წონები 2022



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

ჩვენი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის გათვალისწინებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 20%-ზე მეტად არ უნდა გაზრდილიყო 2015 წლიდან დღემდე. თუმცა, ფასები მკვეთრად მაღალია როგორც სურსათზე, ასევე სხვა პირველადი მოხმარების

საქონელზე. ფასების შემცირებას შესაძლებელია ხელი შეუწყოს გადასახადების შემცირებამ ნავთობპროდუქტებზე.

სხვადასხვა საცალო სავაჭრო ობიექტების ფინანსური ანგარიშის მიხედვით თამბაქოზე და ალკოჰოლურ სასმელებზე გაწეულ დანახარჯებზე მთლიანი დანახარჯების საშუალოდ 10% და 4% მოდის[3].

გრაფიკი 11. სამომხმარებლო ფასების ინდექსი სურსათზე, ტრანსპორტზე, ალკოჰოლსა და თამბაქოზე 2015-2021 წლებში (2015=100)



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

გაცვლითი კურსი და მოზიდული ფინანსური რესურსების ხარჯი

ბოლო წლებში გაცვლითი კურსის გაუფასურებასთან ერთად გაზრდილია საპროცენტო განაკვეთები ლარში გაცემულ სესხებზე. ეს კი ზრდის ფინანსური რესურსების მოზიდვის ხარჯებს ეროვნულ ვალუტაში. ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთების მიუხედავად, მაღალია სავალუტო რისკი.

გრაფიკი 12. აშშ დოლარის გაცვლითი კურსი ლარის მიმართ, საპროცენტო განაკვეთები ლარში და უცხოურ ვალუტაში 2015-2021

[3] რეპორტალი



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

ვაჭრობა, დასაქმებულები, წილი მშპ-ში, ინფლაცია, გაცვლითი კურსი

საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორში საშუალო ანაზღაურება 5.1 ლარს შეადგენს საათობრივად. თუმცა, ვაჭრობაში ყველაზე მეტი დასაქმებული ადამიანია ჩამოთვლილი სექტორებიდან და შესაბამისად ვაჭრობის სექტორის მიერ გადახდილი ჯამური ანაზღაურება წლიურად 2.1 მლრდ. ლარს უტოლდება.

გრაფიკი 13. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, ყოველთვიური საშუალო ხელფასი და ჯამური გადახდილი ანაზღაურება 2020 წელს



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორი ყველაზე მსხვილი კერძო დამსაქმებელია. საქართველოში დაახლოებით 170,000 ადამიანი საბითუმო და საცალო ვაჭრობაშია

დასაქმებული, რაც მთლიანი დაქირავებით დასაქმებულების 26%-ს შეადგენს. მათ შორის, პირველადი მოხმარების საქონლის მსხვილ ადგილობრივ მწარმოებლებში, დისტრიბუციაში და რითეილერებში 30,000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

2010-2020 წლებში სხვადასხვა სექტორების მიერ ფიქსირებულ აქტივებში ჯამში 45 მლრდ. ლარის ინვესტიცია განხორციელდა. მრეწველობის სექტორის განხორციელებული ინვესტიციები ჯამური ინვესტიციების 28%-ს შეადგენს. თუმცა, აქ გაერთიანებულია დამამუშავებელი მრეწველობაც, რომელიც მსხვილ დანახარჯებს მოითხოვს. ტრანსპორტირების და დასაწყობების წილი 17%-ს შეადგენს და ვაჭრობის 12%-ს. ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ჯამური ინვესტიციების მხოლოდ 3%-ს შეადგენს.

გრაფიკი 14. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში 2010-2020 წლებში



წყარო: საქსტატი, საზოგადოება და ბანკები

5. არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები

რითეილერთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ დღეისათვის ყველაზე მწვავე პრობლემები არის გაცვლითი კურსი, მაღალი ინფლაცია და გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები. მნიშვნელოვანია, რომ გარე გაყიდვებს ორგანიზებული ბაზრის მოთამაშეები ნაკლებ პრობლემად აღიქვამენ. ასევე, შეფერხებები მიწოდების ჯაჭვში ნაკლებად აღინიშნება სექტორში.

გრაფიკი 15. რითეილერების მიერ დასახელებული გამოწვევები პრიორიტეტულობის მიხედვით



წყარო: რითეილერთა გამოკითხვა, საზოგადოება და ბანკები

ელექტრონული კომერცია

ბარათით გადახდების მოცულობა და რაოდენობა იზრდება სავაჭრო ობიექტებში. 2021 წელს, 391 მილიონი გადახდა იყო შესრულებილი, 15 მლრდ. ლარის ჯამური მოცულობით. აღნიშნული 8-ჯერ აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს გადახდების რაოდენობის გათვალისწინებით და 9-ჯერ გადახდების მოცულობის გათვალისწინებით. 2021 წლის მონაცემით ერთ მოსახლეზე საშუალოდ, დაახლოებით 100 გადახდა არის შესრულებული წლის განმავლობაში. თითოეული გადახდის საშუალო მაჩვენებელმა კი 39 ლარი შეადგინა, ანალოგიურ პერიოდში.

გრაფიკი 16. სავაჭრო ობიექტებში განხორციელებული გადახდები რეზიდენტი ემიტენტების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათებით 2015-2021 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საზოგადოება და ბანკები

ბარათით გადახდების წილი რითეილერებში 50%-ია და დისტანციური გაყიდვების საშუალო მაჩვენებელი გამოკითხული რითეილერების შემთხვევაში 1.3%-ს შეადგენს მიმდინარე მდგომარეობით.

საქართველოში მომხმარებელი საშუალოდ 950 ლარს მიმართავდა ელ. გაყიდვებზე წლიურად. მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი სამჯერ უფრო მაღალია[4]. მოსალოდნელია, რომ ელ. კომერციის სექტორი მნიშვნელოვნად გაიზრდება მომდევნო წლებში. აღნიშნულს ძირითადად ტექნოლოგიების განვითარება, დისტანციური გადახდის საშუალებების ზრდა და მომხმარებლის ქცევა განაპირობებს, რომელიც დისტანციური გაყიდვებისკენ იცვლება.

გაზრდილი რეგიონული რისკები

რუსეთის აგრესიამ უკრაინაში მიწოდების ჯაჭვში მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოქმნა. 2021 წლის განმავლობაში, საქართველოში რუსეთიდან და უკრაინიდან 300 მლნ. აშშ დოლარის ხორბლის, ზეთის, შოკოლადის და სხვა პირველადი მოხმარების საქონლის იმპორტი განხორციელდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება იმპორტიორების მხრიდან რუსეთის ჩანაცვლება სხვა ქვეყნებით. აღნიშნული შესაძლებელია იყოს, როგორც ყაზახეთი, ასევე თურქეთი და ევროკავშირის ქვეყნები. რუსეთის ჩანაცვლებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფასების ზრდა და მომხმარებლების არჩევანის ცვლილება დაბალი ღირებულების საქონლის მიმართ. არასტანდარტული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, განვიხილოთ გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება, რომ შემცირდეს მოსახლეობაზე ინფლაციური წნეხი, განსაკუთრებით პირველადი მოხმარების საქონლის შემთხვევაში.

საერთო ჯამში, ახალი გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია მომწოდებლების დივერსიფიცირება და ბაზრის გაჯანსაღება. გაურკვეველია რა ვადით გაგრძელდება რუსეთზე დაწესებული სანქციები და რა დამატებითი შეზღუდვა დაწესდება აღნიშნული მიმართულებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ახალი ბაზრების მოძიებას სახელმწიფოს მხარდაჭერით და მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების ზრდა.

შაქრის დეფიციტის შემთხვევა, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა, ნათლად აჩვენებს, რომ მომხმარებელთა მოლოდინის მართვა მნიშვნელოვანი გამოწვევაა სექტორში. დიდი აჟიოტაჟის პირობებში, ნებისმიერ საქონელზე შეიძლება მოკლევადიან პერიოდში წარმოიქმნას დეფიციტი. თუმცა, თავისუფალი ვაჭრობის და არსებული რეალობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ საქართველოს არ ემუქრება რომელიმე საქონელზე დეფიციტი და ხელოვნური აჟიოტაჟის პირობებში საჭიროა შესაბამისმა უწყებებმა, ისევე როგორც რითეილერთა და დისტრიბუტორთა ასოციაციებმა გააკეთონ შესაბამისი განცხადებები და დაამშვიდონ მოსახლეობა.

[4] გალტ ენდ თაგარტი

ასევე, მნიშვნელოვანია საწვავის გაზრდილი ღირებულება, რომელიც პირდაპირ აისახება პირველადი მოხმარების საქონლის ფასზე. აღნიშნულ პირობებში მთავრობის მხრიდან აქციზის განაკვეთის შემცირება ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს.

6. რეკომენდაციები

მოსახლეობის მოხმარებული სურსათის და სხვა პირველადი მოხმარების საქონლის თითქმის ნახევარი იმპორტირებულია. ბოლო წლებში, სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული სუბსიდიების მიუხედავად რეალური წარმოება ძალიან მცირე ტემპით იზრდება და ქვეყანაში აშკარა პრობლემებია საკვების ადგილობრივი წარმოების თვალსაზრისით. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი კერძო სექტორის დაბალი ჩართულობაა სოფლის მეურნეობის სექტორში და შედეგად დაბალი ეფექტურობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და სუბსიდირების მიზნობრივი განაწილება.

მაღალი ინფლაციის პარალელურად, დამატებითი რეგულაციების შემოღება გაზრდის ხარჯებს და მომხმარებლებს გაუძვირებს საკვებს. სურსათის უვნებლობა მნიშვნელოვანი საკითხია. ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება ხარისხის სტანდარტები, რაც დადებითად აისახება საკვების უსაფრთხოებაზე. თუმცა, საცალო სექტორის გამოკითხვამ აჩვენა, რომ დაგეგმილმა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) მოსალოდნელმა ამოქმედებამ მნიშვნელოვანი გამოწვევები შეიძლება შექმნას.

გაზრდილი რეგიონული რისკების შედეგად მოსალოდნელია ქვეყანაში მნიშვნელოვანი შეფერხებები შეიქმნას მიწოდების ჯაჭვში და პირველადი მოხმარების საქონლის ფასწარმოქმნის პროცესში. მნიშვნელოვანია, მთავრობამ აქტიურად ითანამშრომლოს იმპორტიორებთან და მათ მოქნილი საგადასახადო გარემო შესთავაზოს. ასევე, ხელი შეუწყოს ექსპორტიორებს ახალი ბაზრების მოძიების და ექსპორტის დივერსიფიცირების მიმართულებით.

რითეილერთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ დღეისათვის ყველაზე მწვავე პრობლემები არის გაცვლითი კურსი, მაღალი ინფლაცია და გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები. მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე მაღალი ინფლაციის გათვალისწინებით შემუშავდეს გარკვეული მექანიზმი, რომელიც ფასების მყისიერი ზრდისგან დაიცავს პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობის მონაწილეებს.

შინამეურნეობების ხარჯების თითქმის ნახევარი პირველადი მოხმარების საქონელზე მოდის. აქციზი ნავთობზე მნიშვნელოვნად აძვირებს სამომხმარებლო კალათას. მნიშვნელოვანია, მიმდინარე ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით მთავრობამ შეამციროს აქციზი ნავთობპროდუქტებზე და ამ ქმედებით ხელი შეუწყოს ფასების დასტაბილურებას.